ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5950996

ნომერი: AR1898548

თარიღი : 16.05.2022

გაცემის თარიღი : 23.05.2022

გაცნობის თარიღი : 23.05.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქინძმარაულის შესახვევი კორპ. N30-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ნაკადული;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი გოგოხია პ/ნ 62006054878
- უნივერსიტეტის 3

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 10 მაისის №5931476 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 16

მაისს №AR1898548 განცხადებით მომართა ირაკლი გოგოხიამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2022 წლის 10 მაისის №5931476 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2022 წლის 10 მაისის №5931476 ბრძანებით შეთანხმდა №01.19.33.003.151 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 10 მაისიდან 2024 წლის 10 აგვისტოს ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2022 წლის 10 მაისის №5931476 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას, კერძოდ განმცხადებლის განმარტებით შეთანხმებულ ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე 15 ღია ავტოსადგომის – 220.2 კვ.მ. ფართობი არ იქნა დაფიქსირებული, შესაბამისად ითხოვს აღნიშნულის შესწორებას.
სამსახურის მიერ დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ 2022 წლის 22 მარტის №AR1887531 განცხადებით მოთხოვნილ იქნა, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა, რასთან დაკავშირებითაც განმცხადებლის მიერ სხვა დოკუმენტაციებთან/მაჩვენებლებთან ერთად წარმოდგენილ იქნა საპროექტო ობიექტისთვის განკუთვნილი ღია ავტოსადგომების ჯამური მაჩვენებელი. სამსახურის 2022 წლის 10 მაისის №5931476 ბრძანებით შეთანხმებულ იქნა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაცემულ იქნა მშენებლობის ნებართვა, თუმცა ტექნიკური შეცდომის შედეგად ბრძანებაში, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად არ იქნა დაფიქსირებული ღია ავტოსადგომების ჯამური მაჩვენებელი, კერძოდ +0.00 ნიშნულის გეგმაზე დაფიქსირებულია 15 ღია ავტოსადგომი საერთო ფართობით 220.2 კვ.მ.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 10 მაისის №5931476 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 10 მაისის №5931476 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე დაფიქსირდეს გამორჩენილი ღია ავტოსადგომის 220.2 კვ.მ. ფართობი.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 10 მაისის №5931476 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 10 მაისის №5931476 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.